საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა – კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი – კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: თ. ო.

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: ადვოკატი ზ. ჯ. /სიითი № /

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 20.07.2018

საჩივრის რეგისტრაციის № 092/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ რ. რ.-ის მიმართ, /სიითი № / სპეციალიზაცია - საერთო

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ რ. რ.-ისთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 20 ივლისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა თ. ო.-მ და მოითხოვა ადვოკატ რ. რ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორის განცხადებით, მან 2018 წლის პირველ მარტს სამოქალაქო სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე. თ. ო.-მ სარჩელის წარდგენის შემდგომ, 2018 წლის 19 მარტს მიმართა ადვოკატ რ. რ.-ს და ამავე დღეს, მათ შორის გაფორმდა წერილობითი ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების შესახებ. შეთანხმების შესაბამისად, ადვოკატმა რ. რ.-მ წარმოადგინა თ. ო.-ს, როგორც მოსარჩელის ინტერესები პირველი

ინსტანციის სასამართლოში ზემოაღნიშნულ სამოქალაქო საქმეზე, რისთვისაც მან ჰონორარის სახით, წინასწარ მიიღო 900 ლარი. მოცემული სამოქალაქო დავა დასრულდა თ. ო.-ს სასარგებლოდ, კერძოდ, მის მიერ წარდგენილი სარჩელი - უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე 2018 წლის 04 ივნისის თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა რ. რ.-მ მისცა გარანტია, რომ სასამართლო აუცილებლად დააკმაყოფილებდა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის მოთხოვნას, რის თაობაზეც ის გაუწევდა საადვოკატო მომსახურებას. ადვოკატმა რ. რ.-მ საჩივრის ავტორს განუმარტა, რომ სასამართლო ყოველთვის აკმაყოფილებდა მის განცხადებას გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე და ამ შემთხვევაშიც, აუცილებლად დაკმაყოფილდებოდა მის მიერ წარდგენილი მოთხოვნა.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, სწორედ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ადვოკატი რ. რ. დაჰპირდა სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას, ადვოკატს მისი მოთხოვნის შესაბამისად, ჩაურიცხა დამატებით 900 ლარი - ჰონორარის სახით.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ჰონორარის ჩარიცხვის შემდგომ, ადვოკატ რ. რ.-სთან დაკავშირება და საქმის თაობაზე მისგან ინფორმაციის მიღება გართულდა, მათ შორის ადვოკატი არ პასუხობდა სატელეფონო ზარებს. საჩივრის ავტორის განცხადებით, ის სოციალური ქსელის მეშვეობით ცდილობდა ადვოკატ რ. რ.-ისგან მიეღო ინფორმაცია საქმის თაობაზე.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ რ. რ.-ის მიერ წარდგენილი მოთხოვნა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის თაობაზე 2018 წლის 06 ივლისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა, მაშინ როდესაც ამავე წლის 08 ივლისს ადვოკატ რ. რ.-სთან სოციალური ქსელის მეშვეობით მიმოწერის შედეგად შეიტყო, რომ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების მოთხოვნა სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული იყო და მისწერა კონკრეტული დრო, როდესაც შეძლებდა გადაწყვეტილების და სააღსრულებო ფურცლის სასამართლოდან გამოტანას, მათ შორის ადვოკატმა თ. ო.-ს მისწერა, რომ სააღსრულებო წარმოების დაწყებისთვის საჭირო იყო ქირავნობის ხელშეკრულება და დასკვნა ბინის შეფასების თაობაზე, რისი მოპოვებისთვის საშუალოდ 300 ლარის გადახდა დასჭირდებოდა თ. ო.-ს.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა რ. რ.-მ მას უნდა დაუბრუნოს გადახდილი ჰონორარი - 900 ლარი, რომელიც იმ მიზნით გადასცა, რომ ადვოკატის დახმარებით აუცილებლად აღსრულდებოდა სასამართლო გადაწყვეტილება, თუმცა ადვოკატ რ. რ.-ის ბრალეულობის შედეგად, მათ შორის სწორი ინფორმაციის დროულად მიუწოდებლობის გამო, თ. ო.-მ ვერ შეძლო საპროცესო ვადის ფარგლებში გაესაჩივრებინა 2018 წლის 06 ივლისის განჩინება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატ რ. რ.-ის განმარტებით, მას 2018 წლის 19 მარტს მიმართა თ. ო.-მ და ამავე დღეს, მათ შორის გაფორმდა საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება. ადვოკატს უნდა წარმოედგინა თ. ო.-ს, როგორც მოსარჩელის ინტერესები თბილისის საქალაქო სასამართლოში, სამოქალაქო საქმეზე - უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე. თ. ო.-მ ადვოკატს შეთანხმების შესაბამისად, გადაუხადა მომსახურების საფასური 900 ლარი.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ის იმ ეტაპზე ჩაერთო საქმეში, როდესაც თ. ო.-ს სარჩელი სასამართლოს მიერ მიღებული იყო წარმოებაში და მოპასუხეს წარმოდგენილი ჰქონდა შესაგებელი, რომელიც უთითებდა, რომ აპირებდა შეგებებული სარჩელის აღძვრას.

2.3 ადვოკატის განცხადებით, მისი მიზანი იყო საქმის განხილვა დასრულებულიყო პირველივე სასამართლო სხდომაზე და მოწინააღმდეგე მხარეს ვერ მოესწრო შეგებებული სარჩელის წარდგენა, რაც მნიშვნელოვნად გააჭიანურებდა საქმის განხილვას და იმოქმედებდა მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ. ადვოკატმა სასამართლოს წინაშე განაცხადა, რომ სხდომა არსებით განხილვაში გადაზრდილიყო და ასეც მოხდა. იმავე დღეს, მოსამართლემ სათათბირო ოთახში გაუსვლელად გამოიტანა გადაწყვეტილება თ. ო.-ს სასარგებლოდ.

2.4 თ. ო.-მ ადვოკატს რ. რ.-ს სხდომის დასრულების შემდგომ უთხრა, რომ სურდა ივნისის ბოლობდე აღსრულებულიყო გადაწყვეტილება და მოწინააღმდეგე მხარის გამოსახლების პროცესი განხორციელებულიყო. აღნიშნულ საუბარს ესწრებოდა ადვოკატი ა. გ.-ც. ადვოკატმა რ. რ.-მ საჩივრის ავტორს განუმარტა, რომ შესაძლებელი იყო დასაბუთებული შუამდგომლობის სასამართლოში წარდგენის შემთხვევაში, მათ შორის მის მიერ ქირავნობის ხელშეკრულების წარდგენით, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება.

2.5 ადვოკატის განცხადებით, ის არ დაჰპირებია საჩივრის ავტორს, რომ სასამართლო აუცილებლად დააკმაყოფილებდა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების მოთხოვნას, არამედ განუმარტა საქმის დასრულების შესაძლო შედეგები, მათ შორის დეტალურად განუმარტა სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივი აღსრულების წარმოების პროცედურები და თავისი საადვოკატო პრაქტიკიდან გამომდინარე გააცნო ანალოგიური საქმეები, რომლებზედაც სასამართლომ მიიღო განჩინება გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის თაობაზე.

2.6 2018 წლის 07 ივნისს თ. ო. და ადვოკატი რ. რ. წერილობითი ფორმით შეთანხმდნენ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხთან დაკავშირებით საადვოკატო მომსახურების მიღების თაობაზე, რის შემდგომაც, თ. ო.-მ ადვოკატის ანგარიშზე ჩარიცხა ჰონორარი - 900 ლარის ოდენობით.

2.7 2018 წლის 13 ივნისს ადვოკატმა რ. რ.-მ თბილისის საქალაქო სასამართლოს თ. ო.-ს საქმესთან დაკავშირებით, წარუდგინა განცხადება - სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების მოთხოვნის თაობაზე.

2.8 ადვოკატის განცხადებით, მან თ. ო.-ს განუმარტა, რომ სასამართლოში ბინის ქირავნობის ხელშეკრულების და ბინის შეფასების დასკვნის დამატებით წარდგენა შესაძლებელი იყო განცხადების სასამართლოში შეტანის შემდგომაც, თუმცა სასურველი იყო დროულად წარდგენა - მოწინააღმდეგე მხარის მიერ სააპელაციო საჩივრის შეტანამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში, წარდგენილი შუამდგომლობა შესაძლებელი იყო რომ არ დაკმაყოფილებულიყო. თ. ო.-მ ადვოკატს განუცხადა, რომ ვერ შეძლებდა ქირავნობის ხელშეკრულების გაფორმებას, რადგან ბინის მესაკუთრემ ამაზე უარი განუცხადა. ადვოკატმა რ. რ.-მ თ. ო.-ს განუმარტა, რომ ბინის მესაკუთრესთან მას უნდა დაედო წინასწარი ქირავნობის ხელშეკრულება, რაც ძალაში შევიდოდა 2018 წლის 01 ივლისს, ხოლო შემდგომ, შეუთანხმებლობის შემთხვევაში, გაეფორმებინათ ახალი ხელშეკრულება, როგორიც მათ სურდათ, ამასთან, ადვოკატმა განუმარტა, რომ დასჭირდებოდა უძრავი ქონების შეფასების დასკვნა, რაც აუცილებელი იყო სააღსრულებო ფურცელთან ერთად აღსრულებაში წარსადგენად. რამდენიმე

დღეში, თ. ო. დაუკავშირდა ადვოკატ რ. რ.-ს და განუცხადა, რომ ბინის შეფასების საკითხი მოაგვარა, თუმცა ბინის ქირავნობის ხელშეკრულების გაფორმება ვერ შეძლო.

2.9 ადვოკატი რ. რ. სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების მოთხოვნის თაობაზე განცხადების წარდგენის შემდგომ, უკავშირდებოდა მოსამართლის თანაშემწეს, რომელიც ეუბნებოდა, სავარაუდოდ, როდის იქნებოდა მზად სასამართლოს განჩინება, თუმცა დაკმაყოფილდებოდა თუ არა წარდგენილი განცხადება სასამართლოს მიერ, ამის შესახებ თანაშემწეს მისთვის არ უცნობებია.

2.10 2018 წლის 06 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით არ დაკმაყოფილდა თ. ო.-ს საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის მოთხოვნა, თუმცა ამის თაობაზე ადვოკატმა რ. რ.-მ შეიტყო 2018 წლის 12 ივლისს, როდესაც მან მოსამართლის თანაშემწესთან მოიკითხა წარდგენილი შუამდგომლობის თაობაზე. ადვოკატმა რ. რ.-მ მოსამართლის თანაშემწესთან საუბრისას შეიტყო, რომ განჩინება ჯერ მზად არ იყო წერილობითი ფორმით. ამავე დღეს, ადვოკატი რ. რ. სასამართლოს შენობაში შეხვდა თ. ო.-ს, რომელმაც პრეტენზია განუცხადა, იმის თაობაზე, თუ რატომ მიიღო სასამართლომ მისთვის არასასურველი განჩინება. ადვოკატმა თ. ო.-ს განუცხადა, რომ დამატებითი საბუთების წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო ხელმეორედ განიხილავდა მის შუამდგომლობას იმავე საკითხზე.

2.11 ადვოკატი რ. რ. არ ეთანხმება საჩივრის ავტორის პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ მისი ბრალეულობით ვერ მოხერხდა 2018 წლის 06 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების გასაჩივრება. ადვოკატის განცხადებით, ზემოაღნიშნული განჩინება 2018 წლის 19 ივლისს ჩაბარდა თ. ო.-ს ახალ წარმომადგენელს - ზ. ჯ.-ს, რომელსაც განჩინების ჩაბარებიდან 12 დღე ჰქონდა შესაძლებლობა განჩინება გაესაჩივრებინა.

2.12 ადვოკატის განმარტებით, თ. ო.-ს ეთიკის კომისიაში არასრული სახით აქვს წარმოდგენილი მიმოწერების ის ნაწილი, რომელიც მათ შორის სოციალური ქსელის მეშვეობით განხორციელდა და შესაბამისად, რთულია ერთიან კონტექსტში გააზრება, მათი შეფასება.

2.13 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მიმოწერებიდან არ იკვეთება, რომ ის თ. ო.-ს დაჰპირდა სააღსრულებო ფურცელის გადაცემას. საჩივრის ავტორს გააზრებული ჰქონდა, რომ შესაძლოა, არ დაკმაყოფილებულიყო სასამართლოში წარდგენილი შუამდგომლობა, ვინადაინ არ იყო წარდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები, მათ შორის ბინის ქირავნობის ხელშეკრულება.

2.14 ადვოკატის განმარტებით, ის ადასტურებს საჩივრის ავტორთან მიმოწერის მონაკვეთს, სადაც მითითებულია, მისი მიმოწერა: „მზადაა. ორშაბათს გამოვიტან“, რომელიც ეხებოდა არამხოლოდ წარდგენილ შუამდგომლობაზე განჩინებას, არამედ ძირითად გადაწყვეტილებასაც, რომელიც მხარეებს არ ჰქონდათ ჩაბარებული. ადვოკატის განცხადებით, მას მოსამართლის თანაშემწე სატელეფონო საუბრისას რა ინფორმაციასაც აწვდიდა - შესაბამისად იმასვე ეუბნებოდა თ. ო.-ს.

2.15 ადვოკატის განმარტებით, თანაშემწეს ადვოკატი პერიოდულად უკავშირდებოდა, მათ შორის თანაშემწემ განუმარტა, რომ განჩინება და გადაწყვეტილებაც ერთდროულად მომზადდებოდა. ადვოკატის განმარტებით, მან საჩივრის ავტორს მიმოწერის დროს აღსრულების საკითხთან დაკავშირებით განუმარტა, რომ ქირავნობის ხელშეკრულებაც იყო დამატებით საჭირო, ამასთან, ადვოკატი წერს: „ამ კვირაში იქნებაო ვესაუბრე ძირითად გადაწყვეტილებასთან ერთადო...“

ადვოკატის განმარტებით, აღნიშნული მიმოწერა არ არის სრულყოფილი და „ამოჭრილია“ წინა ტექსტი, რადგან ის აუცილებლად დააზუსტებდა ვის ესაუბრა.

2.16 ადვოკატის განმარტებით, საადვოკატო მომსახურება მეორე ხელშეკრულების საფუძველზე ორ ეტაპად უნდა განხორციელებულიყო. პირველი ეტაპი წარმოადგენდა ადვოკატის მიერ სასამართლოში შუამდგომლობის წარდგენას გადაწყვეტილების დაუყოვნებლის აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე და შემდგომი ეტაპი ეხებოდა აღსრულების ეროვნულ ბიუროში საქმის წარმოების ეტაპებს. ადვოკატის განცხადებით, საადვოკატო მომსახურების პირველი ეტაპი მან შეასრულა, თუმცა საჩივრის ავტორის ინიციატივით მომსახურება არ გაგრძელებულა. შესაბამისად, ადვოკატის განცხადებით, რადგანაც პირველ ეტაპზე საადვოკატო მომსახურება გასწია, მეორე ეტაპის - დარჩენილი ჰონორარის 450 ლარის დაბრუნებაზე შესაძლებელია იყოს საუბარი. რაც შეეხება, საჩივრის ავტორისათვის საქმის მასალების დაბრუნების თაობაზე პრეტენზიას, ადვოკატის განმარტებით, თ. ო.-ს მისთვის მასალების გადაცემა არ უთხოვია, ამასთან, მისი ინტერესები არ დაზიანებულა, რადგანაც ყველა საქმის მასალა დასკანერებული სახით ხელმისაწვდომი იყო სასამართლოს საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში შესვლით.

3. მოწმე - ადვოკატ ა. გ.-ის ახსნა-განმარტება:

3.1 ა. გ.-ის განცხადებით, მას და ადვოკატ რ. რ.-ს საერთო სამუშაო სივრცე აქვთ და კარგად ახსოვს, როდესაც 2018 წლის 19 მარტს თ. ო. მათთან მივიდა ოფისში ადვოკატ რ. რ.-სთან შესახვედრად. მოწმის განმარტებით, ადვოკატმა რ. რ.-მ განუმარტა, თანახმა იყო თუ არა რომ ა. გ. დასწრებოდა მათ საუბარს, რის თაობაზეც თ. ო.-მ თანხმობა განაცხადა.

3.2 მოწმის განცხადებით, თ. ო.-მ ადვოკატს განუმარტა, რომ მისი საქმის წარმოება უკვე მიმდინარეობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე, მათ შორის მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარდგენილი იყო შესაგებელი და სურდა საადვოკატო მომსახურების მიღება.

3.3 ადვოკატ რ. რ.-სა და თ. ო.-ს შორის გაფორმდა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება. საჩივრის ავტორმა ადვოკატს შეთანხმების შესაბამისად, გადაურიცხა ჰონორარის სახით 900 ლარი.

3.4 მოწმის განცხადებით, ის ესწრებოდა თ. ო.-ს საქმეზე სასამართლოში გამართულ სხდომას. თ. ო.-მ სხდომის დამთავრებამდე დატოვა სასამართლო დარბაზი. მოსამართლემ ადგილზე თათბირით მიიღო თ. ო.-ს სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილება. სხდომის დარბაზიდან გამოსვლის შემდგომ, თ. ო.-მ ადვოკატს ჰკითხა, როგორ შეიძლებოდა სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება - მოწინააღმდეგე მხარის ბინიდან გამოსახლება. ადვოკატმა რ. რ.-მ განუმარტა რა დოკუმენტების წარდგენა იყო საჭირო სასამართლოსთვის, მათ შორის განუცხადა, რომ აუცილებელი იყო იმ ბინის ქირავნობის ხელშეკრულება, სადაც ცხოვრობდა იმჟამად და ბინის შეფასების დასკვნა. თ. ო.-მ განუცხადა ადვოკატ რ. რ.-ს, რომ ზემოაღნიშნულ დოკუმენტებს ის წარუდგენდა მას.

3.5 მოწმის განმარტებით, 2018 წლის ივნისის თვეში, საადვოკატო ოფისში ყოფნისას ადვოკატი რ. რ. და თ. ო. შეთანხმდნენ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე საადვოკატო მომსახურების შესახებ, რის შემდგომაც, ადვოკატმა რ. რ.-მ თ. ო.-ს საქმეზე მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს განცხადებით - სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ

აღსრულების მოთხოვნის თაობაზე. განცხადების წარდგენის შემდგომ, თ. ო. დაუკავშირდა ადვოკატ რ. რ.-ს და უთხრა, რომ მასთან წყვეტდა ურთიერობას.

3.6 მოწმის განცხადებით, მას არ აქვს ინფორმაცია, სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა თუ არა ადვოკატ რ. რ.-ის მიერ წარდგენილი განცხადება. ა. გ.-ის განმარტებით, როგორც მისთვის ცნობილია, ვინაიდან, თ. ო.-მ გააუქმა სოციალურ ქსელში თავისი პროფილი - მიმოწერები მასსა და რ. რ.-ს შორის წაშლილია.

4. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

4.1 2018 წლის 24 დეკემბერს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ რ. რ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

4.2 საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ შესაძლოა, სახეზე ყოფილიყო ადვოკატ რ. რ.-ის მიერ საჩივრის ავტორის, როგორც მისი კლიენტის არაინფორმირებულობა. კერძოდ, ადვოკატმა შესაძლოა, კლიენტს მიაწოდა მცდარი ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით, რამაც სავარაუდოდ, გამოიწვია ნდობის დაკარგვა ადვოკატისადმი და საფრთხე შეუქმნა კლიენტის ინტერესებს.

4.3 საპორცესო კოლეგიამ აღნიშნა, იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ადვოკატს არ დაუბრუნებია საჩივრის ავტორისთვის - თ. ო.-სთვის მისგან მიღებული ჰონორარი, რომლის ფარგლებშიც მან აიღო ვალდებულება საადვოკატო მომსახურება გაეწია და აღნიშნული ვალდებულება ვერ შეასრულა, შესაძლოა, ადვოკატის მიერ დარღვეული იყოს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტის დროს გამოუმუშავებელი ჰონორარის კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულება.

4.4 საპროცესო კოლეგიამ ადვოკატ რ. რ.-ის ქმედებაში აღმოაჩინა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.6-ისა და 8.15 მუხლების შესაძლო დარღვევის ნიშნები და მიიჩნია, რომ ადვოკატ რ. რ.-ის მიმართ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

II სამოტივაციო ნაწილი

5. საქმის ფაქტები:

5.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტები, რომლებიც უდავოა მხარეთა შორის:

5.1.1 2018 წლის მარტის თვეში საჩივრის ავტორი და ადვოკატი რ. რ. შეთანხმდნენ საადვოკატო მომსახურების განხორციელების თაობაზე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტება;

2018 წლის 19 მარტის ხელშეკრულება;

5.1.2 ადვოკატმა რ. რ.-მ წარადგინა თ. ო.-ს ინტერესები თბილისის საქალაქო სასამართლოში უკანონო მფლობელობიდან უძრავი ქონების გამოთხოვის თაობაზე; დავა დასრულდა თ. ო.-ს სასარგებლოდ.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტება;

5.1.3 2018 წლის ივნისის თვეში თ. ო. და ადვოკატი რ. რ. შეთანხმდნენ საადვოკატო მომსახურების ახალ საგანზე. გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულების მიხედვით, საადვოკატო მომსახურების საგანს წარმოადგენდა: „გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებისათვის განცხადების წარდგენა სასამართლოში, სააღსრულებო ფურცლის აღება, აღსრულების ეროვნულ ბიუროში წარდგენა და აღსრულების მიმდინარეობის პროცესში წარმომადგენლობა აღსრულების პოლიციაში“„მოთხოვნა: მოვალეთა გამოსახლება, დავალების შესრულების ადგილი: თბილისის საქალაქო სასამართლო, აღსულების პოლიცია, უძრავი ქონების მისამართი ...“

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტება;

2018 წლის 07 ივნისის იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება;

5.1.4 2018 წლის ივნისის თვეში მხარეთა შორის საადვოკატო მომსახურების თაობაზე შეთანხმების ფარგლებში თ. ო.-მ ადვოკატ რ. რ.-ს ანგარიშზე ჩაურიცხა ჰონორარი - 900 ლარის ოდენობით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტება;

2018 წლის 08 ივნისის თანხის ჩარიცხვის დამდასტურებელი დოკუმენტი;

5.1.5 ადვოკატმა რ. რ.-მ, როგორც თ. ო.-ს წარმომადგენელმა თბილისის საქალაქო სასამართლოში 2018 წლის 13 ივნისს წარადგინა განცხადება სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევისა და სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესახებ.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2018 წლის 13 ივნისის თბილისის საქალაქო სასამართლოსადმი მიმართული წერილობითი განცხადება საქმეზე #x/xxxx-18

5.1.6 თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის შესახებ თ. ო.-ს წარმომადგენლის ადვოკატ რ. რ.-ის განცხადება.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

2018 წლის 06 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება.

5.1.7 საჩივრის ავტორსა და ადვოკატ რ. რ.-ს შორის „ფეისბუქ მესენჯერის“ მეშვეობით განხორციელდა შემდეგი დიალოგი: 2018 წლის 02 ივლისი - რ. რ.: „ამ კვირაში იქნებაო, ვესაუბრე ძირითად გადაწყვეტილებასთან ერთადო. ვადა გასდის 30-ე დღეს ანუ 04 ივლისს გასდის ვადა მოსამართლეს. დღეს 02 ივლისია.“ თ. ო.: „კარგით დაველოდოთ აბა“. 2018 წლის 08 ივლისის მიმოწერა - თ. ო.: „გამარჯობათ ბატონო რ., როგორ გიკითხოთ? გამოიტანეთ აღსრულების ფურცელი და გადაწყვეტილბა? ადვოკატი რ. რ.: „მზადაა. ორშაბათს გამოვიტან“.

5.1.8 2018 წლის 08 ივლისის მიმოწერა ადვოკატ რ. რ.-სა და საჩივრის ავტორს შორის გრძელდება შემდეგი დიალოგით - თ. ო.: „აღსრულებაში როდის შეგაქვთ? თუ არ ვცდები გაასაჩივრეს ხო? რ. რ.: „ჯერ

აუდიტის დასკვნაა საჭირო 300 ლარი და შემდეგ ბინის შეფასების 1 პროცენტი ხომ გითხარით. ალბათ აქაც 300 ლარი. ისე არ მიიღებს სააღსრულებო. გასაჩივრების ვადა ჯერ არ გასულა“.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ფეისბუქ მესენჯერში თ. ო.-სა და ადვოკატ რ. რ.-ს შორის განხორციელებული მიმოწერები;

6. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ რ. რ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1 ვინაიდან, ადვოკატმა კლიენტისგან მიღებული ჰონორარის ფარლგებში აიღო ვალდებულება გაეწია საადვოკატო მომსახურება, თუმცა აღნიშნული ვალდებულება ვერ შეასრულა, შესაძლოა, ადვოკატის მიერ დარღვეული იყოს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტის დროს გამოუმუშავებელი ჰონორარის კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულება:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (აპეკ) მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი: „კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ... ფულადი სახსრები რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი“.

7.2 ეთიკის კომისიამ 2016 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №038/16 ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების მიღებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ „საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას“.

7.3 ადვოკატის მიერ ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები ჰონორარის გამოქვითვის საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2016 წლის 21 ნოემბერს საქმეზე დს-შ/17-16 განმარტა, რომ "ხელშეკრულების თავისუფლება არ ქმნის დადგენილი პროფესიული სტანდარტის უარყოფის საფუძველს... საადვოკატო მომსახურების ოდენობა მხარეთა შეთანხმების საგანია და დისციპლინური პასუხისმგებლობის სფეროს მიღმა იმყოფება, პროფესიული ქცევის სტანდარტის სფეროს შეადგენს არა გასამრჯელოს ოდენობა, არამედ ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, შეთანხმებით გათვალისწინებული საადვოკატო მომსახურების მოცულობისა და ფარგლების დაცულობა... იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტისაგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური, ხოლო წარმომადგენელმა, ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი, ხოლო დარჩენილი თანხა უნდა დაუბრუნოს კლიენტს. ადვოკატის პროფესიული ქცევის აღნიშნული სტანდარტი ემსახურება კლიენტის ინტერესებს და ადვოკატის ავტორიტეტის დაცვას, გამომდინარეობს ადვოკატის ვალდებულებიდან იმოქმედოს კლიენტის ინტერესებით, თავისი ქცევით პატივისცემას იწვევდეს კლიენტში".

7.4 საჩივრის ავტორსა და ადვოკატ რ. რ.-ს შორის 2018 წლის 07 ივნისს გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულების მიხედვით, საადვოკატო მომსახურების საგანს წარმოადგენდა: „გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებისათვის განცხადების წარდგენა სასამართლოში, სააღსრულებო ფურცლის აღება, აღსრულების ეროვნულ ბიუროში წარდგენა და აღსრულების მიმდინარეობის პროცესში წარმომადგენლობა აღსრულების პოლიციაში" (ს.ფ. 99). მოცემულ ხელშეკრულებაში ასევე მითითებულია „მოთხოვნა: მოვალეთა გამოსახლება, დავალების შესრულების ადგილი: თბილისის საქალაქო სასამართლო, აღსულების პოლიცია, უძრავი ქონების მისამართი ..." ხელშეკრულების მიხედვით, საჩივრის ავტორის მიერ ადვოკატის მომსახურების საფასური მხარეთა შეთანხმების მიხედვით გადახდილია 900 ლარის ოდენობით.

7.5 მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა რ. რ.-მ, როგორც თ. ო.-ს წარმომადგენელმა თბილისის საქალაქო სასამართლოში 2018 წლის 13 ივნისს წარადგინა განცხადება სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევისა და სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესახებ (განცხადება -ს.ფ. 113), თუმცა თბილისის საქალაქო სასამართლომ 2018 წლის 06 ივლისის განჩინებით არ დააკმაყოფილა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემა (განჩინება - ს.გ. 120). შესაბამისად, ადვოკატმა რ. რ.-მ შეასრულა 2018 წლის 07 ივნისს საჩივრის ავტორთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება ნაწილობრივ, რადგან სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების შედაგად, საადვოკატო მომსახურების განხორციელება ვეღარ გაგრძელდებოდა აღსრულების ეროვნულ ბიუროში და აღსრულების პოლიციაში. ადვოკატი ადასტურებს აღნიშნულ გარემოებას და უთითებს, რომ მან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება შეასრულა ნაწილობრივ, რადგანაც საჩივრის ავტორის ინიციატივით შეწყდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. განსახილველ შემთხვევაში, სახეზეა ადვოკატის მიერ კლიენტისათვის გამოუმუშავებელი ჰონორარის დაუბრუნებლობის ფაქტი.

7.6 ადვოკატმა რ. რ.-მ შეასრულა 2018 წლის 07 ივნისს საჩივრის ავტორთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება ნაწილობრივ, რადგან სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების შედეგად, საადვოკატო მომსახურების განხორციელება ვეღარ გაგრძელდებოდა აღსრულების ეროვნულ ბიუროში და აღსრულების პოლიციაში. განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა თავად დაასტურა, რომ მის მიერ სრულად არ მომხდარა მომსახურების გაწევა და შესაბამისად, შესაძლებელი იყო ჰონორარის ნაწილის დაბრუნება საჩივრის ავტორისათვის, რის გამოც განხილვის კოლეგიამ მხარეებს მისცა შესაძლებლობა მორიგებულიყვნენ, თუმცა ადვოკატს ეთიკის კომისიისთვის არ მოუწოდებია ინფორმაცია დაუბრუნა თუ არა ჰონორარის ნაწილი საჩივრის ავტორს. საჩივრის ავტორმა კომისიას წერილობითი ფორმით აცნობა, რომ ეთიკის კომისიაში საქმის განხილვის ეტაპზე მან წერილობით მიმართა ადვოკატ რ. რ.-ს, რომ მზად იყო მორიგებულიყვნენ, თუმცა ადვოკატი მას არ დაკავშირებია და არც ჰონორარის ნაწილი დაუბრუნებია.

7.7 განსახილველ შემთხვევაში, ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ არ დგინდება შემდეგი მუხლების დარღვევა:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (აპეკ-ის) მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წამოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ“.

აპეკ-ის მე-3 მუხლი: „კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა“.

7.8 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე 022/10 აღნიშნა რომ ,,ადვოკატმა კლიენტს უნდა მიაწოდოს საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია და კავშირი ჰქონდეს მასთან საქმის წარმოების პროცესში, როდესაც ადვოკატის მიერ საქმესთან დაკავშირებით ხორციელდება საპროცესო მოქმედებები და საქმესთან დაკავშირებით არსებობს ახალი გარემოებები“.

7.9 ეთიკის კომისიამ კლიენტის დროული ინფორმირება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას დაუკავშირა 2012 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე 092/11, სადაც განმარტა, რომ ,,ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას, კლიენტი ჩართულია საქმის მიმდინარეობის თაობაზე და აქვს შესაძლებლობა, გონივრულად მართოს საკუთარი ქმედებები. ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს საკითხები ზედმიწევნით, რაც კლიენტს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები.“

7.10 ეთიკის კომისიამ 2015 წლის 20 იანვრის გაგადწყვეტილებაში საქმეზე 080/13 ინფორმირებულობის ვალდებულების დარღვევად შეაფასა შემთხვევა, როდესაც „ადვოკატი საჩივრის ავტორს არ აწვდიდა ინფორმაციას მის მიერ შეტანილი საკასაციო საჩივრის შედეგთან დაკავშირებით. ადვოკატმა

საჩივრის ავტორს განუმარტა, რომ მისი საკასაციო საჩივარი უზენაესმა სასამართლომ წარმოებაში არ მიიღო, რადგან სასამართლო პრაქტიკისათვის იყო უინტერესო... საჩივრის ავტორმა თავად მიმართა უზენაეს სასამართლოს და პირადად ჩაიბარა განჩინება. განჩინების წაკითხვის შემდეგ საჩივრის ავტორმა აღმოაჩინა, რომ უზენაესმა სასამართლომ საკასაციო საჩივარი დატოვა განუხილველად, საკასაციო საჩივრის შეტანისთვის დადგენილი ვადის დარღვევის გამო. ადვოკატი ვალდებული იყო დროულად მიეწოდებინა საჩივრის ავტორისათვის ყველა ინფორმაცია და განემარტა მისთვის მინდობილი საქმის მსვლელობის და დამდგარი შედეგების შესახებ".

7.11 მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის პოზიციიდან ირკვევა, რომ ის ცდილობდა ადვოკატისგან მიეღო ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობის შესახებ, კერძოდ, დაკმაყოფილდა თუ არა წარდგენილი მოთხოვნა სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ.

7.12 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ადვოკატ რ. რ.-სთან სოციალური ქსელის მეშვეობით მიმოწერის საფუძველზე შეიტყო, რომ სასამართლომ დააკმაყოფილა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების მოთხოვნა. საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიას წარუდგინა მასსა და ადვოკატ რ. რ.-ს შორის სოციალური ქსელის მეშვეობით განხორციელებული მიმოწერები. ადვოკატი რ. რ. აღნიშნულ მიმოწერების წარმოდგენასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ ის არასრული სახითაა წარმოდგენილი და მხოლოდ სრულყოფილი სახით შეიძლება მიმოწერის შინაარსის ერთიანი კონტექსტით აღქმა, თუმცა თავად ვერ წარმოადგენს მიმოწერის სრულ ვერსიას, რადგან მასსა და თ. ო.-ს შორის არსებული მიმოწერა წაშლილია.

7.13 წარმოდგენილი მტკიცებულების მიხედვით, საჩივრის ავტორსა და ადვოკატ რ. რ.-ს შორის „ფეისბუქ მესენჯერის" მეშვეობით განხორციელდა შემდეგი დიალოგი: 2018 წლის 02 ივლისი - რ. რ.: „ამ კვირაში იქნებაო, ვესაუბრე ძირითად გადაწყვეტილებასთან ერთადო. ვადა გასდის 30-ე დღეს ანუ 04 ივლისს გასდის ვადა მოსამართლეს. დღეს 02 ივლისია." თ. ო.: „კარგით დაველოდოთ აბა". 2018 წლის 08 ივლისის მიმოწერა - თ. ო.: „გამარჯობათ ბატონო რ., როგორ გიკითხოთ? გამოიტანეთ აღსრულების ფურცელი და გადაწყვეტილბა? ადვოკატი რ. რ.: „მზადაა. ორშაბათს გამოვიტან". თ. ო.-ს შემდეგ შეკითხვაზე „გამოიტანეთ აღსრულების ფურცელი და გადაწყვეტილება?"

7.14 2018 წლის 08 ივლისის მიმოწერა ადვოკატ რ. რ.-სა და საჩივრის ავტორს შორის გრძელდება შემდეგი დიალოგით - თ. ო.: „აღსრულებაში როდის შეგაქვთ? თუ არ ვცდები გაასაჩივრეს ხო? რ. რ.: „ჯერ აუდიტის დასკვნაა საჭირო 300 ლარი და შემდეგ ბინის შეფასების 1 პროცენტი ხომ გითხარით. ალბათ აქაც 300 ლარი. ისე არ მიიღებს სააღსრულებო. გასაჩივრების ვადა ჯერ არ გასულა". მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატ რ. რ.-ის პასუხი ეხება იმ პროცედურებს, რაც არის საჭირო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისთვის, მათ შორის თ. ო.-ს აწვდის ინფორმაციას იმ აუცილებელი საბუთების მოპოვების თაობაზე, რაც აღსრულების ეროვნულ ბიუროს დასჭირდება.

7.15 მოცემულ შემთხვევაში, 2018 წლის 02 ივლისსა და 08 ივლისს საჩივრის ავტორსა და ადვოკატ რ. რ.-ს შორის განხორციელებული ზემოაღნიშნული მიმოწერების ადეკვატური გააზრებისა და ანალიზის საფუძველზე, არ დასტურდება, რომ ადვოკატმა რ. რ.-მ საჩივრის ავტორს მიაწოდა არასწორი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სასამართლომ დააკმაყოფილა მოთხოვნა სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების მოთხოვნის თაობაზე და უკვე მზად იყო წერილობითი ფორმით მხარისათვის ჩასაბარებლად. ადვოკატის მიერ განხორციელებული მიმოწერა:

„მზადაა ორშაბათს გამოვიტან“ - არ წარმოადგენს დამაჯერებელ მტკიცებულებას იმის დასადასტურებლად, რომ ადვოკატმა ამ სახით კლიენტს მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ უკვე დაკმაყოფილდა შუამდგომლობა დაუყოვნებლივ გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე. ადვოკატი განმარტავს, რომ ის პერიოდულად უკავშირდებოდა მოსამართლის თანაშემწეს წარდგენილი განცხადების თაობაზე მიღებული იყო თუ არა გადაწყვეტილება, თუმცა მისთვის თანაშემწეს წინასწარ არ უცნობებია რა გადაწყვეტილებას მიიღებდა მოსამართლე. ადვოკატმა რ. რ.-მ სასამართლოს მიერ 2018 წლის 06 ივლისს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე მოსამართლის თანაშემწისგან შეიტყო 2018 წლის 12 ივლისს (იხ. ადვოკატის პოზიცია - პუნქტი 2.10).

7.16 მოცემულ შემთხვევაში, კომისიამ უნდა იმსჯელოს ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომაზე, რა დროსაც, უნდა გაითვალისწინოს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახე, სიმძიმე, პროფესიისათვის მიყენებული ზიანი, კლიენტისათვის მიყენებული ზიანი, ადვოკატის საქმიანი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი დისციპლინური გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად.

7.17 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს-შ/3-15 განმარტა, რომ: ,,დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტულის სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის ჩადენილი გადაცდომის სიმძიმის და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება.”

7.18 კომისია მოცემულ შემთხვევაში, ითვალისწინებს შემდეგ შემამსუბუქებელ გარემოებებს: ადვოკატი ადასტურებს, რომ მის მიერ არ განხორციელებულა სრულად საადვოკატო მომსახურება იმ ფარგლებში, რა მოცულობითაც მან მიიღო ჰონორარი, გადაწყვეტილების გამოტანის დროს, ადვოკატს არ აქვს შეფარდებული სხვა დისციპლინური სახდელი და მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს დისციპლინური სახდელის განმსაზღვრელი რომელიმე ფაქტორი და შესაბამისად, ამ პირობებში, კოლეგიას მიაჩნია, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა იქნება ადვოკატის მიერ განხორციელებული ეთიკური ვალდებულების დარღვევის პროპორციული.

7.19 სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა მხოლოდ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს და არა პასუხისმგებლობის ან სახდელის სახეს. კერძო სარეკომენდაციო ბარათი თავისი შინაარსით შეიცავს, რა მხოლოდ რჩევებს და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თავიდან აცილების მიზნით და ის არ უზღუდავს ადვოკატს საადვოკატო უფლებამოსილების განხორციელებას. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და იგი ადვოკატს ჩაბადება პირადად.

7.20 განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 33-ე, 35–ე მუხლით და 38–ე მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე #092/18 ადვოკატ რ. რ.-ის მიმართ /სიითი N/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.
4. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილება არ საჩივრდება საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/